ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N7

დაბა ქედა 24 ივლისი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარი ხარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრები:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

24.07.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა.

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N6 დადგენილებით საკრებულოს კომისია ანგარიშვალდებულია წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს და შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

კომისია, საანგარიშო პერიოდში, თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით და სამუშაო გეგმით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებულ იქნა 8 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე შემოსული საკითხები. განიხილა, როგოც მერიის სამსახურებიდან შემოსული, ასევე საკრებულოს ფრაქციისა და კომისიების ინიცირებული პროექტები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების განხილვა.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 5 ცვლილება, რაც ძირითადად განპირობული იყო მეწყრული პროცესების პრევენციული ღონისძიებების, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწესრიგებასთან დაკავშირებული ღონისძიებების,ინფრასტრუქრურული პროექტების, ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების,სოფლის მხარდაჭერის პროგრამების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების გარდა განიხილულ იქნა:

ქედის მუნიციპლიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი.

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განხორციელებული ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ შეხვედრებში, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა შესაბამისი დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

კომისია ორიენტირებული იყო მოქალაქეების ინფორმირებულობასა და აქტიურ ჩართულობაზე,რათა მუნიციპალიტეტის ძირითად დოკუმენტში, რომელსაც წარმოადგენს ბიუჯეტი, ასახულიყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნები.

კომისიამ, კანონით დადგენილ ვადებში, უზრუნველყო 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რომელზე დასწრების საშუალებაც ჰქონდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. განხილვაზე შემუშავებული საბიუჯეტო შენიშვნები,რომელიც ეხებოდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ქვეპროგრამებში შესატან ცვლილებებს , დადგენილ ვადაში გადაგზავნილ იქნა კომისიის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში გასათვალისწინებლად. მერიამ განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოახდინა სათანადო რეაგირება, რომელიც შემდგომ აისახა დამტკიცებულ ბიუჯეტში.

1. **ოპერაციული მკურნალობის თანდაფინანსების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 04)** გათვალისწინებული პირობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, გაეწიოს დახმარება დარჩენილი თანხის 100% და 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 80%-ით, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

2. **მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 02 10)** გათვალისწინებული დახმარების თანხა გაიზარდოს 50 ლარით და განისაზღვროს შემდეგი სახით: 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარების შემთხვევაში, მუდმივად ეტლით მოსარგებლე, ასევე მუდმივად მწოლიარე, თვეში 250 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინების შემთხვევაში ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 66000 ლარით და შეადგენს 246000 ლარს.

3. **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 05)** გაფართოვდეს და დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად განისაზღვროს ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 120 000-ს არ აღემატება. სოციალური სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლთა სარეიტინგო ქულებიც 100 000-დან 120 000-ს შეადგენს, არის 90 (±10) ოჯახი, შესაბამისად, ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 20 000 ლარით.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ბიუჯეტში თანხების შიდა მონაცვლეობის აუცილებლობის მიზანშეწონილობა,ასევე ბიუჯეტის შესრულებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს საქმიანობის განხორციელებას, რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს კომისიის მუშაობა.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 6.

წინააღმდეგი: 0.

კომისიამ გადაწყვიტა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა **13:00** სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში